

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N

25 იანვარი 2023 წელი

ქალაქი ბათუმი

ლუკა ასათიანის ბათუმის ქალაქისთავად არჩევის დღის აღსანიშნავად  
ყოველწლიური ღონისძიების გამართვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ყოველი კალენდარული წლის 25 იანვარს გაიმართოს შესაბამისი ღონისძიება გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ლუკა ასათიანის ბათუმის პირველ ქალაქისთავად არჩევის დღესთან დაკავშირებით ქალაქის წინაშე მისი ღვაწლის წარმოსაჩენად.
2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს უზრუნველყოს ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებით შესაბამისი საბიუჯეტო და საორგანიზაციო ღონისძიებების გატარება.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

რამაზ ჯინჭარაძე

# გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი   ბ ა რ ა თ ი

## პროექტის სახელწოდება და სათაური

**„ლუკა ასათიანის ბათუმის ქალაქისთავად არჩევის დღის აღსანიშნავად ყოველწლიური ღონისძიების გამართვის შესახებ“ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

**ლუკა ასათიანის ბათუმის ქალაქისთავად არჩევის დღის აღსანიშნავად ყოველწლიური ღონისძიების გამართვის შესახებ**

ა. პროექტის ძირითადი არსი:

მოგეხსენებათ, 128 წლის წინ, 1895 წლის 25 იანვარს, ბათუმმა აირჩია პირველი ქალაქისთავი ლუკა ასათიანი, რომლის მოღვაწეობამაც უდიდესი კვალი დააჩნია ბათუმის განვითარებას. ფაქტობრივად არ ყოფილა რომელიმე სფერო, რომელზეც ლუკას თავისი ხელი არ დაედო. დიდია მისი ღვაწლი ბათუმის განაშენიანების საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალაქის მიმდებარე ტერიტორიებზე ჭაობის ამოშრობა, კაპიტალურად გაყვანილი სანიაღვრე კანალიზაციის არხები (მათ შორის ჟილინსკისა და ივანოვის არხები), რომლებმაც მთელი ქალაქი გადაკვეთეს. პარალელურად წარმოებდა ქალაქის დადაბლებული ადგილების ხრეშითა და გრუნტით მოზინვა. ყოველივე ამან განაპირობა ქალაქში ჭაობიანი ადგილების დაშრობა და მეტად საშიში ავადმყოფობის მალარიის მოსპობა. შედეგად შესაძლებელი გახდა ახალი ქუჩების გაყვანა და ნაწილის კეთილმოწყობა. ლუკა ასათიანის პირადი ინიციატივით დაიწყო ბათუმის საბჭოს შენობის აგება, რომელშიც დღეს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციაა განთავსებული. მისივე მმართველობის პერიოდშია აშენებული ახლანდელი რესპუბლიკური საავადმყოფო, რომელიც აჭარის მოსახლეობას დღესაც ემსახურება. ლუკა ასათიანი, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობდა ბათუმში განათლების აღმავლობის საქმეს. მისი ინიციატივით ქალაქში უმოკლეს ვადაში ყველა ეროვნებისათვის მათ ენაზე დაწყებითი კლასები გაიხსნა. ეს იყო ადამიანი, რომელსაც მაღლიერი შთამომავლობა დღესაც ბათუმის ჭეშმარიტი მოურავად, ბათუმის მოჭირნახულედ, დამაშვრალ მოღვაწედ, სიკეთის მთესველ ლუკად მოიხსენიებს.

ბათუმის განვითარების საქმეში ლუკა ასათიანის ღვაწლისა და დამსახურების წარმოჩინება 1994 წლიდან დაიწყო, როდესაც მაღლიერმა ბათუმელებმა ქალაქის ერთ-ერთ დიდ ქუჩას, რომელზეც მდებარეობს ლუკა ასათიანის მიერ საფუძველჩაყრული მერიის შენობა, ლუკა ასათიანის სახელი ეწოდა. მალე მერიის შენობის წინ მდებარე სკვერში ლუკა ასათიანის ბიუსტიც აღიმართა. მესამე მოწვევის საკრებულოს წევრთა ინიციატივით დაწესდა ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარჩინებული ბათუმელი სტუდენტებისათვის. ხოლო 2018 წელს, საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა განცხადების საფუძველზე, საკრებულოს განათლების კომისიამ სხდომაზე წარადგინა პროექტი სხდომათა დარბაზისთვის ლუკა ასათიანის სახელის მინიჭებისა და მისი პორტრეტის სხდომათა დარბაზში განთავსების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყოველი წლის 25 იანვარს, ლუკა ასათიანის ბათუმის პირველ ქალაქისთავად არჩევის დღესთან დაკავშირებით, დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიება მისი ღვაწლისა და დამსახურების წარმოჩენის მიზნით.

**ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

პროექტის მიღება არ იწვევს დამატებითი ხარჯების გაწევას ბიუჯეტიდან.

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:**

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:**

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

**ე) პროექტის ავტორი:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

**ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოიძე.